მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“–ს

ო ქ მ ი №1

09/ნოემბერი/2022 წელი

ქ.მარნეული

სხდომას ხელმძღვანელობდა – საბჭოს თავმჯდომარე ახლიმან ბაბაქიშიევი;
სხდომის მდივანი: - ანარ გუსეინოვი;
საბჭოს წევრები:
ოლგა ენდელაძე
საბა შუბითიძე
ამაიკ საიადიანი
ლევანი დარბაიძე
პაატა დავაძე

ესწრებოდნენ:
მუნიციპალიტეტის მერიის ადმინიატრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მამუკა შუბითიძე;
მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შესმრულებელი - მაია ნავერიანი;
მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელი - ლარისა გელაშვილი;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.მარნეულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

გ ა ნ ი ხ ი ლ ე ს

მოისმინეს: საბჭოს სხდომა გახსნა და ახალი საბჭოს შემადგენლობა წარადგინა ბატონმა შუბითიძემ, რომელმაც კიდევ ერთხელ განუმარტა საბჭოს წევრებს მათი უფლებამოსილებები, საჭიროება და ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულება, როგორც მოსახლეობასთან, ასევე მუნიციპალიტეტის თვითმართველობასთან, რათა ზუსტად იქნეს მიწოდებული და ასახული ყველა ის პრიორიტეტული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიმართულებები, რომელიც ესაჭიროება მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

- ქალბატონმა მაია ნავერიანმა სხდომაზე წარმოადგინა და დეტალურად განმარტა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია და დაახლოებით იქნება - 60 000 000 მილიონი ლარი. ასევე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტებზე. მან დეტალურად ისაუბრა ბიუჯეტის როგორც საშემოსახლო ასევე ხარჯვით ნაწილზე, პუნქტობრივად წარმოადგინა ბიუჯეტის ყველა ძირითადი პროგრამული მაჩვენებლები, ყურადღება გაამახვილა პროექტით განსაზღვრული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რომლის მიხედვითაც, როგორც წინა წლებში, დაგეგმილია მნიშვნელოვანი საგზაო მონაკვეთების რეაბილიტაცია, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ასევე მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ბიუჯეტში სოციალური ფონდის ოდენობა, რათა განსაკუთრებული ზრუნველობა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველ და ასევე დახმარების საჭიროების მქონე მოსახლეობაზე. მნიშვნელოვანი მიმართულებების განვითარებაა დაგეგმილი სოციალური და სხვა

პრიორიტეტული პოლიტიკის მიმართულებით, მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ქალაქ მარნეულში რუსთაველის ქუჩის სრული რეაბილიტაციის პროექტის დაფინასების საკითი, რაც გათვალისწინებულია 2033 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით და მისი საერთო მოცულობა შეადგენს დაახლოები 7 000 000 (შვიდი მილიონი) მილიონ ლარს.

აზრი გამოთქვა: ოლგა ენდელაძემ, ამაიკ საიადიანმა, ახლიმან ბაბაქიშიევმა მათ ყურადრება გაამახვილეს ბიუჯეტის სოციალური და ინფრასტრუქტურული მიმართულებით არსებული ფინანსური სახსრების ოდენობებზე, მათ შორის იგეგმება თუ არა სერვისის გაუმჯობესება, ადმინისტრაციულ ერთეულებში დარჩენილი გზებისა მოპირკეთების სამუშაოები და სხვა სოფლის მოსახლეობისათვის ყოფითი პირობების გაუმჯობესება, რასთან დაკავშირებითაც მამუკა შუბითიზემ მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნული საკითხების გადაჭრის გეგმების დამუშავების თაობაზე.

ახლიმან ბაბაქიშიევი - მიმაჩნია რომ ადგილობრივ ბიუჯეტის პროექტის დაგეგმვისას მეტი ყურადრება უნდა გამახვილდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული განწვანებების, მოსასვენებელი სკვერების, ახალგაზრდებში სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე, გზების, პარკირებისა და ინფრასტრუქტურის აღმშენებლობის პრობლემების მოგვარებაზე.

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით - საბჭომ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ 2023 წლის მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს და აქვე განიმარტა რომ, მოწონებულია ბიუჯეტის პროექტის არსებული რედაქცია.

სხდომის თავმჯდომარე: ახლიმან ბაბაქიშიევი

მდივანი; ანარ გუსეინოვი

წევრები:

ლ. დარბაიძე

ოლგა ენდელაძე

ამაიაკ საიადიანი

პაატა დავაძე

საბა შუბითიძე